თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

დანართი 1

სამაგისტრო გამოცდის მიმართ მოქმედი წესები

სარჩევი

I. სამაგისტრო გამოცდა და მისი კომპონენტები 2
II. სამაგისტრო თემის შერჩევა და რეგისტრაცია 2
III. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება 3
IV. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა 4
V. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხელმძღვანელის მიერ 4
VI. ზეპირ დასკვნით გამოცდაზე დაშვება 4
VII. ზეპირი დასკვნითი გამოცდა 5
VIII. ზეპირი დასკვნითი გამოცდის შეფასება 5
IX. განმეორებითი ზეპირი დასკვნითი გამოცდა 6
X. სამაგისტრო გამოცდის საბოლოო შეფასება 6
XI. სამაგისტრო გამოცდის დადებითი შეფასების შედეგები 7
XII. სამაგისტრო გამოცდის უარყოფითი შეფასების შედეგები 7
XIII. სამაგისტრო გამოცდის ბათილობა 8

I. სამაგისტრო გამოცდა და მისი კომპონენტები

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მთავრდება სამაგისტრო გამოცდით, რომლის ჩაბარების უფლება მაგისტრანტს წარმოეშობა სამაგისტრო პროგრამით დადგენილი კომპონენტებით გათვალისწინებული 90 კრედიტის დაგროვების შემდეგ.

სამაგისტრო გამოცდა მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დასკვნით ზეპირ გამოცდას – სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.

სამაგისტრო ნაშრომში აისახება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით ამ კომპონენტისთვის გათვალისწინებული სწავლის შედეგები. სამაგისტრო გამოცდაზე მაგისტრანტმა უნდა დაამტკიცოს, რომ შესწევს მის მიერ შერჩეული სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.

II. სამაგისტრო თემის შერჩევა და რეგისტრაცია

1. სამაგისტრო თემას მაგისტრანტი ირჩევს ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
2. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ-ის აკადემიური პერსონალი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო გამოცდით დასადგენი ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია.
3. სამაგისტრო თემის სათაურის რეგისტრაციის წინაპირობაა თემის სათაურისა და სავარაუდო სტრუქტურის წარდგენა ფაკულტეტის შესაბამის მიმართულებზე – სამაგისტრო თემის აქტუალობის, მისი დამუშავების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულების, საკვლევი საკითხის ამოწურვადობისა და სამეცნიერო ნაშრომის მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დასადგენად.
4. მიმართულების სხდომა დამსწრეთა ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას:

ა) წარმოდგენილი თემის სახელწოდების დარეგისტრირებასა და ნაშრომის შესრულებაზე თანხმობის ან უარის შესახებ.
ბ) სხდომაზე გამოვლენილი შენიშვნების გათვალისწინების მიზნით, მაგისტრანტისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ.
5. თუ დამატებით ვადაში მაგისტრანტი ვერ უზრუნველყოფს თემის სათანადო სახელწოდებისა და სტრუქტურის წარმოდგენას, მიმართულება იღებს გადაწყვეტილებას თემის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, რის საფუძველზეც სტუდენტი კარგავს აღნიშნულ სემესტრში თემის დამუშავების უფლებას.
6. სამაგისტრო თემა, რომლებიც დასაშვებად ცნო მიმართულებამ, ექვემდებარება სათანადო წესით რეგისტრაციას.

III. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება

1. მაგისტრანტს თემის დამუშავებისათვის განესაზღვრება ოთხთვიანი ვადა, რომელიც აითვლება თემის სათაურის რეგისტრაციის დღიდან.
2. II ნაწილის მე-4 პუნქტის „ბ“ ქ/პუნქტში მითითებული დამატებითი ვადა ითვლება სამაგისტრო თემის დამუშავებისათვის გათვალისწინებული ოთხთვიანი ვადის დენაში.
3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იქნეს შესრულებული ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ნაბეჭდი სახით. წერილობითი განცხადებით სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში, იურიდიული ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, მაგისტრანტს ნება დართოს წარმოადგინოს იგი სხვა ევროპულ ენაზე.
4. სამაგისტრო ნაშრომის მიმართ მოქმედი სამეცნიერო კვლევის შინაარსობრივი და ტექნიკური მოთხოვნები განისაზღვრება ფაკულტეტზე დადგენილი აკადემიური წერის სტანდარტებით (*იხ. დანართი №1*).
5. შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს ავტორის წერილობითი დადასტურება (ნაშრომის ორიგინალობის შესახებ), რომ ნაშრომი შესრულებულია მის მიერ და არ გამოუყენებია მითითებულის გარდა სხვა ლიტერატურა.

IV. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

1. სამაგისტრო ნაშრომი დამუშავებისათვის განსაზღვრულ ვადაში წარედგინება იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციას.
2. სამაგისტრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში გამოცდა ითვლება არჩაბარებულად.

V. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხელმძღვანელის მიერ

1. ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომს აფასებს მისი წარდგენიდან სამი კვირის ვადაში.
2. სამაგისტრო ნაშრომი ხელმძღვანელის მიერ ფასდება 60 ქულის ფარგლებში შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- ტექსტის შესაბამისობა სათაურთან (10 ქულა);
- შესავალი და ნაშრომის სტრუქტურა (10 ქულა);
- დასკვნა (10 ქულა);
- საკუთარი აზრი (10 ქულა);
- აზრის ფორმირების სტილი (10 ქულა);
- ციტირების ტექნიკა (10 ქულა).

3. ზეპირ დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის ხელმძღვანელის შეფასების აუცილებელი მინიმალური ქულაა 31.

VI. ზეპირ დასკვნით გამოცდაზე დაშვება

1. ზეპირ დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მაგისტრანტი, რომელმაც:
ა) გაიარა სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია და სრულად დაფარა სწავლის საფასური;
ბ) დროულად წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ხელმძღვანელის მიერ შეფასდა სულ მცირე 31 ქულით;
გ) მაგისტრატურის სასწავლო კურსის მსვლელობისას დააგროვა სამაგისტრო პროგრამით დადგენილი კომპონენტებით გათვალისწინებული 90 კრედიტი.
2. ზეპირ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობების არსებობისას, იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს გამოცდის

ჩატარების ორგანიზებას, გამომცდელებთან შეთანხმებით ნიშნავს გამოცდას და გამოცდამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე თარიღს ატყობინებს მაგისტრანტს.

VII. ზეპირი დასკვნითი გამოცდა

1. ზეპირ დასკვნით გამოცდაზე დაშვებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების წინაშე.
2. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება მიმართულების სამი წევრი მაინც.
3. გამომცდელები დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საქმიანობაში.
4. ზეპირ დასკვნით გამოცდაზე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ, რომლის მსვლელობისას მაგისტრანტი წარმოაჩენს ნაშრომში განხორციელებული კვლევის შედეგებს.
5. ზეპირ დასკვნით გამოცდაზე თითოეული მაგისტრანტი გამოიცდება ინდივიდუალურად.
6. გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

VIII. ზეპირი დასკვნითი გამოცდის შეფასება

1. ზეპირი დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულის ფარგლებში შემდეგი კომპონენტების მიხედვით:
    - კვლევის შედეგების პრეზენტაცია (10 ქულა);
    - აქტუალური პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი (10 ქულა);
    - სიახლის დასაბუთება (10 ქულა);
    - საკუთარი პოზიციის დაცვა, შეკითხვებზე პასუხი (10 ქულა).
2. მაგისტრანტის ზეპირი დასკვნითი გამოცდა მისი დასრულებისთანავე ფასდება გამომცდელების მიერ დახურულ სხდომაზე.
3. ზეპირი დასკვნითი გამოცდის შეფასება განისაზღვრება გამომცდელთა ხმების უმრავლესობით.
4. ზეპირი დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება მაგისტრანტის მიერ სულ მცირე 20 ქულის მიღების შემთხვევაში.

5. გამოცდის შეფასების შესახებ გადაწყვეტილება მაგისტრანტს ეცნობება იმავე დღეს ინდივიდუალურად.

IX. განმეორებითი ზეპირი დასკვნითი გამოცდა

ზეპირი დასკვნითი გამოცდის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს აქვს წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის იმავე სემესტრში განმეორებით ზეპირ დასკვნით გამოცდაზე დაცვის უფლება.

X. სამაგისტრო გამოცდის საბოლოო შეფასება

1. სამაგისტრო გამოცდა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მიმართულების სხდომაზე განისაზღვრება სამაგისტრო გამოცდის საბოლოო შეფასება, რომელიც შედგება სამაგისტრო ნაშრომისა და ზეპირი დასკვნითი გამოცდის შეფასებისგან.

2. **დადებითი შეფასება -** სამაგისტრო ნაშრომი ჩაითვლება ჩაბარებულად თუ სამაგისტრო ნაშრომსა და ზეპირ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ ქულათა ჯამი სამაგისტრო გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%-ზე მეტია.

3. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი- მაქსიმალური შეფასების 81-90 %;

გ) (C) კარგი-მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი- მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) (E) საკმარისი-მაქსიმალური შეფასების 51-60%.

4. **უარყოფითი შეფასება: ა) ვერ ჩააბარა** გულისხმობს მაქსიმალური შეფასების 41-50%-ს, ბ) **ჩაიჭრა** ითვალისწინებს მაქსიმალური შეფასების 40%-სა და ნაკლებ ქულას.

5. გარდა X ნაწილის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქ/პუნქტებში მითითებული უარყოფითი შეფასებისა, სამაგისტრო ნაშრომის არჩაბარებულად გამოცხადების საფუძვლებია, ასევე:

ა) ზეპირ დასკვნით გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

ბ) ზეპირ დასკვნით გამოცდაზე გამოცხადების შემდგომ უარის თქმა მის ჩაბარებაზე;

გ) აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენა;

დ) ზეპირი დასკვნითი გამოცდის ჩაშლის მცდელობა ან მისი ჩატარების განაწესის დარღვევა;

ე) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით ან სხვა დაუშვებელი ხერხებით.

XI. სამაგისტრო გამოცდის დადებითი შეფასების შედეგები

1. სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რომელსაც დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს უნივერსიტეტი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე. დიპლომს ხელს აწერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანი. დიპლომს დაესმის უნივერსიტეტის ბეჭედი.

2. თუ ხორციელდება მაგისტრის ხარისხის ერთობლივად მინიჭება უნივერსიტეტთაშორისი შეთანხმების საფუძველზე, ამ შეთანხმების დებულებებს აქვთ უპირატესი ძალა.

XII. სამაგისტრო გამოცდის უარყოფითი შეფასების შედეგები

1. X ნაწილის მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებული საფუძვლების არსებობისას მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება.

2. დამატებითი სემესტრის გაცდენა სტუდენტს ჩაეთვლება საპატიოდ:

ა) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;

ბ) მძიმე ავადმყოფობის მიზეზით.

3. სამაგისტრო გამოცდის ხელმეორედ ჩაუბარებლობა, სამაგისტრო ნაშრომის დამატებით სემესტრში წარდგენის მიუხედავად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია.

XIII. სამაგისტრო გამოცდის ბათილობა

სამაგისტრო გამოცდის მსვლელობისას მაგისტრანტის მიერ X ნაწილის მე-5 პუნქტის „გ“ და „ე“ ქ/პუნქტებით გათვალისწინებული დარღვევები, რომელიც სამაგისტრო დიპლომის გაცემის შემდეგ გახდა ცნობილი, ქმნის სამაგისტრო გამოცდის მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად გამოცხადების, სამაგისტრო დიპლომის ჩამორთმევისა და მინიჭებული ხარისხის გაუქმების საფუძველს.